

როგორ დავაფუძნოთ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სკოლა

რამდენიმე რჩევა სკოლის ადმინისტრაციისთვის

იმისათვის, რომ სკოლამ შეიძინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, თანმიმდევრობით უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1. სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენს:
 - ა) სკოლის წესდების (დებულების) დამტკიცებისა და
 - ბ) იურიდიული პირის (სკოლის) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის (არჩევის) საფუძველზე. ასეთ პირს კი სკოლაში წარმოადგენს დირექტორი; ე.ი. სკოლის წესდების დამტკიცება და განათლების მინისტრის მიერ დირექტორის დანიშვნა არის პირველი ნაბიჯი სკოლის დასაფუძნებლად;
2. სკოლის დირექტორის დანიშვნიდან უმოკლეს დროში უნდა მოხდეს სამეურვეო საბჭოს არჩევა;
3. შემდეგი ნაბიჯი არის სკოლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაცია ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში, სადაც მას მიენიჭება ცხრაციფრიანი საგადასახადო ინდივიდუალური კოდი. საგადასახადო ორგანოში სკოლამ უნდა წარადგინოს:
 - ა) განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - ბ) განათლების მინისტრის ბრძანება დირექტორის დანიშვნის შესახებ;
4. სკოლას ასევე უნდა გააჩნდეს საკუთარი საკანცელარიო ბეჭედი, რომლის დასამზადებლად შესაბამის (ბეჭდის დამამზადებელ) ორგანიზაციას უნდა წარედგინოს შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) სკოლის დირექტორის წერილობითი მიმართვა საკანცელარიო ბეჭდის დამზადების თაობაზე;
 - ბ) სკოლის წესდებისა და დირექტორის დანიშვნის შესახებ ბრძანების ასლები;
 - დ) საგადასახადო ორგანოს მიერ სკოლისთვის ცხრაციფრიანი კოდის მინიჭების შესახებ საბუთის ასლი;

5. ამის შემდეგ სკოლას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, უფლება ეძლევა გახსნას საკუთარი საბანკო ანგარიში, სადაც მოხდება სკოლისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების აკუმულირება. იმისათვის, რომ გაიხსნას საბანკო ანგარიში, სკოლა ვალდებულია საბანკო დაწესებულებას წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:
 - ა. სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ განათლების მინისტრის ბრძანების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - ბ. სკოლის წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - გ. სკოლის საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანაზე უფლებამოსილი პირის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერის ნიმუშები;
 - დ. საგადასახადო სამსახურის მიმართვა ბანკისადმი;
 - ე. საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდის ცნობა;

რა წესით მოხდება ქონების გადასემა სკოლებისათვის?

- დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სკოლას სახელმწიფოს მიერ გადაეცემა ქონება, ან დაფუძნების აქტით განისაზღვრება მისი ქონების ფორმირების წესი;
- სკოლას სახელმწიფო ქონება შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თანხმობით.



სკოლის სტრუქტურული ერთეულები

- სკოლის დირექტორი
- სკოლის ადმინისტრაცია
- სკოლის პედაგოგთა საერთო კრება
- სკოლის პედაგოგიური საბჭო
- სკოლის სამეურვეო საბჭო

სკოლის პედაგოგთა საერთო კრება

- შედგება სკოლის ყველა პედაგოგისაგან;
- ირჩევს წარმომადგენლებს პედაგოგიურ საბჭოში;
- წარუდგენს რეკომენდაციებს დირექტორსა და პედაგოგიურ საბჭოს სკოლაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სკოლის პედაგოგიური საბჭო

- პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს სკოლის დირექტორის სათაბირო ორგანოს;
- შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს დაწესებულების სასწავლო-სააღმწიფო საკითხებთან დაკავშირებით.

სკოლის სამეურვეო საბჭო

- წყვეტს სკოლაში შემოსავლის მოზიდვისა და რაციონალური განკარგვის საკითხებს;
- მონიტორინგს უწევს სკოლაში დისციპლინის დაცვასა და მოსწავლეთა და მშობელთა საჩივრების განხილვას;
- შედგება მშობელთა საერთო კრების მიერ არჩეული 7-11 წევრისაგან.

სკოლის ღირეპტორი

- თანამდებობაზე ინიშნება განათლების მინისტრის მიერ;
- ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოსა და სკოლის ადმინისტრაციას;
- პასუხისმგებელია სკოლის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
- სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს:
 - სკოლის მართვის სტრატეგიულ გეგმას;
 - სასკოლო სასწავლო გეგმას (კურიკულუმს);
 - სკოლის ბიუჯეტს.

სკოლის ადმინისტრაცია

- შედგება: დირექტორის, დირექტორის პირველი მოადგილის, საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსისა და კანცელარიის გამგისაგან;
- სკოლის დირექტორს წარუდგენს სასწავლო-აღმწიფო საკითხებთან დაკავშირებულ პროექტებს;
- სამეურვეო საბჭოსთან და პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავებს სკოლის არასაბიუჯეტო საფინანსო რესურსების ხარჯთაღრიცხვის პროექტს.

რა წესით ტარდება სამეურვეო საბჭოს არჩევნები სკოლაში?

სამეურვეო საბჭოს ირჩევს მშობელთა საერთო კრება, სამი წლის ვადით.

სამეურვეო საბჭოს არჩევნების ორგანიზაცია

- საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ან ადმინისტრაცია იწვევს მშობელთა საერთო კრებას;
- მშობელთა საერთო კრება თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის სამ წევრს სამეურვეო საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად;
- კომისიის წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს დირექტორსა და საერთო კრებაზე დამსწრე წევრს მიერ მშობელს;
- კომისიის წევრების არჩევა ხდება ღია კენჭისყრით;
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვა კანდიდატებთან შედარებით ხმების მეტ რაოდენობას მიიღებს;
- კომისიის არჩევის შემდეგ დირექტორი და საერთო კრებაზე დამსწრე წევრის მიერ მშობელი ასახელებს სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატს;
- კომისია ერთი კვირის განმავლობაში რეგისტრაციაში ატარებს სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატებს;
- სამეურვეო საბჭოს არჩევნები ტარდება კომისიის წევრთა არჩევიდან 14 დღის შემდეგ;
- სამეურვეო საბჭოს არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე თვალსაჩინო ადგილას გამოიკვეთება ინფორმაცია არჩევნების თარიღისა და რეგისტრირებულ კანდიდატთა შესახებ.

კომისიის უფლებამოსილება

- კომისია ორგანიზებას უწევს და ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს არჩევნებს;
- კომისია კანდიდატთა დასახელების რიგითობის მიხედვით განსაზღვრავს საარჩევნო ბიულეტენზე მათ თანმიმდევრობას;
- კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვას, შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციისა და სპეციალური ყუთების მომზადებას;
- კომისია ითვლის თითოეული კანდიდატისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობას, არჩევნების შედეგებს ასახავს სამეურვეო საბჭოს არჩევნების ოქმში და არჩევნების დღესვე აცხადებს საბოლოო შედეგებს;

კანქისყრა

- დაწესებულების დირექტორი ან ადმინისტრაცია იწვევს მშობელთა საერთო კრებას სამეურვეო საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად.
- კომისიის წევრები მშობელთა საერთო კრებას გააცნობენ ინფორმაციას სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატების შესახებ;
- საერთო კრებაზე დამსწრე მშობლებს ურიგდებათ საარჩევნო ბიულეტენები;
- მშობელთა საერთო კრება სამეურვეო საბჭოს წევრებს ირჩევს ღია კენჭისყრის საფუძველზე;
- კომისიის წევრები დასახელების რიგითობის მიხედვით კითხულობენ კანდიდატების სახელსა და გვარს. თითოეულ მათგანს ხელის აწევით ცალკე ეყრება კენჭი;
- საერთო კრებამ შეიძლება მშობელთა ხმების უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრის ჩატარების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, თითოეული მშობელი საარჩევნო ბიულეტენზე შემოხაზავს მისთვის სასურველ კანდიდატს და ბიულეტენს ადებს სპეციალურ ყუთში;
- არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, ვინც სხვა კანდიდატებთან შედარებით ხმების მეტ რაოდენობას მიიღებს;
- მშობლების საერთო კრებას შეუძლია აირჩიოს სამეურვეო საბჭო იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრებაზე დამსწრე მშობელთა რაოდენობა შესაბამის სკოლაში არსებულ მოსწავლეთა რაოდენობის ნახევარზე მეტია.

კანქისყრის პრინციპები

- სამეურვეო საბჭოს არჩევნები საჯაროა.
- კენჭისყრა პირდაპირია, რაც იმას გულისხმობს, რომ სამეურვეო საბჭოს წევრი აირჩევა უშუალოდ საერთო კრებაზე დამსწრე მშობლის მიერ.
- კენჭისყრა თანასწორია, ანუ მასში მონაწილეობის უფლება აქვს საერთო კრებაზე დამსწრე ყველა მშობელს.
- კენჭისყრა ტარდება ღია ან ფარული წესით.

ვინ შეიძლება აირჩას სამეურვეო საბჭოს წევრად?

- სამეურვეო საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს პირი თვრამეტი წლის ასაკიდან.
- სამეურვეო საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც იმავდროულად არის განათლების სამინისტროს, მისი ტერიტორიული ორგანოს ან დაწესებულების თანამშრომელი.
- სამეურვეო საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც არ ესწრება საერთო კრებას, მაგრამ წერილობითი თანხმობა განაცხადა წევრობაზე.

არჩევნების შედეგები

- არჩევნების შედეგები გამოიკვერება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას არჩევნებიდან ერთი კვირის განმავლობაში. თუ სკოლას აქვს გაზეთი, მაშინ არჩევნების შედეგები ქვეყნდება გაზეთშიც.
- სამეურვეო საბჭო შექმნილად ითვლება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედის არჩევის დღიდან.

სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა

- იმ სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 500 არ აღემატება, აირჩევა სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 7 და არაუმეტეს 9 წევრისა;
- იმ სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 500 აღემატება, აირჩევა სამეურვეო საბჭოს არანაკლებ 9 და არა უმეტეს 11 წევრისა;
- სამეურვეო საბჭოს პირველსავე სხდომაზე, შექმნიდან არაუგვიანეს 10 დღისა, სამეურვეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს და თავჯდომარის მოადგილეს. თავჯდომარე და თავჯდომარის მოადგილე აირჩევა სამეურვეო საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით.

სამეურვეო საბჭოს ახალი წევრის არჩევა


სამეურვეო საბჭოს გამოკლებული წევრის მაგივრად ახალი წევრის არჩევა უნდა მოხდეს სამეურვეო საბჭოს წევრის გამოკლების დღიდან არაუგვიანეს ოცდაათი დღის ვადაში.

სამეურვეო საბჭოს დათხოვნა

- თუ სამეურვეო საბჭო ვერ ასრულებს ან არასათანადოდ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს, სკოლის დირექტორი მოიწვევს მშობელთა საერთო კრებას, რომელიც განიხილავს სამეურვეო საბჭოს დათხოვნის საკითხს.
- სამეურვეო საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში, ათი დღის ვადაში, დირექტორი მოიწვევს მშობელთა საერთო კრებას, რომელზეც აირჩევა საბჭოს ახალი შემადგენლობა.



მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596
E-MAIL: OFFICE@ALPE.GE
WWW.ALPE.GE



გამოიცა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) ფინანსური დახმარებით. მოუხედავად ამისა, მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფედერაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

აკაპუნოთ ჩვენი სკოლა

